

შეთანხმება

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019-ს“ შორის 2020 წლის 13 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N72 ხელშეკრულების (NAT200002729) შეწყვეტის შესახებ

ქ. ქობულეთი

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მირიან ქათამაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის გიგა ხაჭომიას (მინდობილობა N190088772) სახით, ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019-ს“ შორის 2020 წლის 13 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N72 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის N6662-01 მოხსენებითი ბარათის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 23 დეკემბრის N01-33/7340 წერილის და შპს „მათე 2019-ის“ 2020 წლის 24 დეკემბრის წერილის (შემოს.N12715/01, 24.12.2020) საფუძველზე, შევთანხმდით შემდეგზე:

1. მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით, შეწყვეტილ იქნას ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019-ს“ შორის 2020 წლის 13 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N72 ხელშეკრულების მოქმედება.
2. მიმწოდებელს შემსყიდველის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ხელშეკრულების შეწყვეტასთან ან სხვა საკითხთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია, მათ შორის თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ გააჩნია.
3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შედგენილია და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

შპს „მათე 2019“

მერი

დირექტორის მინდობილი პირი

მირიან ქათამაძე

გიგა ხაჭომია

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

შპს „მათე 2019“

#45/2020

24 დეკემბერი 2020 წელი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს

ბ-ნ მირიან ქათამაძეს

ბ-ნ მირიან

თქვენი 2020 წლის 23 დეკემბრის # 01-33/7340 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ თანახმა ვარ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეწყდეს 2020 წლის 13 მარტს ურთიერთშორის გაფორმებული #72 ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულების 10.6 პუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით:

შპს „მათე 2019“ - ს დირექტორის მინდოზილი პირი:

/გიგა ხაჯომია/

Giga
Khazhomia

Digitally signed by Giga
Khazhomia
Date: 2020.12.24
12:02:42 +04'00'





საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

..6200 ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 ტელ: 0426-26-72-09

Email: Kobuletimunicipality@gmail.com

N 01-33/7340

23/12/2020

7340-01-33-2-202012231710



შპს „მათე 2019-ის“ დირექტორს

ბატონ ჰამლეტ კუჭუხიძეს

ელ. ფოსტა: sixa3@mail.ru

ტელ.: +995 599 90-83-23

მის.: სამტრედია, ამირან ბახტაძის ქ. #188

ბატონო ჰამლეტ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებულმა მდგომარეობამ გავლენა იქონია ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებაზე. გარდა ამისა, დემონტაჟზე მიღებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეები ამ ეტაპზე განიხილება სასამართლოში და შესაბამისად მათი აღსრულება ვერ ხერხდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „მათე 2019-ს“ შორის 2020 წლის 13 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N72 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები ვერ განხორციელდა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორე მხრივ, შპს „მათე 2019-ს“ შორის 2020 წლის 13 მარტს გაფორმებული N72 ხელშეკრულება, უერთიერთშეთანხმების საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.6-პუნქტში.

გთხოვთ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გულისხმიერად მოეკიდოთ აღნიშნულ საკითხს და გვაცნობოთ მზაობა ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვეტასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მირიან ქათამაძეს

ბატონო მირიან,

მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებულმა მდგომარეობამ გავლენა იქონია ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე დემონტაჟზე მიღებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეები ამ ეტაპზე განიხილება სასამართლოში და შესაბამისად მათი აღსრულება ვერ ხერხდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „მათე 2019“-ს შორის 2020 წლის 13 მარტის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N72 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები ვერ განხორციელდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს დაიწყოს პროცედურები ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მინდია რომანაძე



სამსახურის უფროსი
ზედამხედველობის სამსახური